



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/76

ქ. თბილისი

27 ნოემბერი 2018


სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების  
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/301 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ნოემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

- დამტკიცდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებები, კერძოდ:
  - მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დებულება;
  - ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულება;
  - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დებულება;
  - ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულება;
  - ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დებულება;
  - არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დებულება;
  - ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულება.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №96.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოვიძე